<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა გვანცელაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

2. ვაკის რაიონში, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა გვანცელაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 1559
გეოგრაფიული (გრძედი,გ

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია
0162 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა
ტელ.: (+995 32) 2 23 53 84
ფაქსი: (+995 32) 2 29 28 90
ელ-ფოსტა: basket@top.ge
www.gbf.ge

GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION
49a. Chavchavadze av., Tbilisi 0162
Tel.: (+995 32) 2 23 53 84
Fax: (+995 32) 2 29 28 90
E-mail: basket@top.ge
www.gbf.ge

№ 133 21 03 2022 წ.

ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 6 აპრილს ბატონ ვაჟა გვანცელაძეს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თსსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს ყოფილ წევრს, ყოფილი სსრკ-ს, საქართველოს და საერთაშორისო თამაშების ჩემპიონს და პრიზიორს კალათბურთში – 90 წელი შეუსრულდებოდა.
გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება ქ.თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს მისი სახელი.

წინასწარ გიხდით მადლობას.

დანართი: 5 გვერდი

პატივისცემით,

საქართველოს კალათბურთის
ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

ვიქტორ სანიკიძე

ბიოგრაფია

ვაჟა–ისიდორეს–ძე გვანცელაძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თსსუ–ის რექტორის, მრჩეველთა საბჭოს წევრი, ყოფილი სსრკ–ას, საქართველოს და საერთაშორისო თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი კალათბურთში. დაიბადა ქ.თბილისში, 06.04.1932წ. მოსამსახურის ოჯახში: მამა – ისიდორე გვანცელაძე – ინჟინერი, დედა – ევგენია ნოზაძე – ფილოლოგი.

მეუღლე – ლამარა დადუნაშვილი – ექიმი, ოფთალმოლოგი.

შვილები:

ლალი გვანცელაძე – ფარმაცევტი.

ნანა გვანცელაძე – კარდიოლოგი.

1950 წელს თბილისის 24–ე ვაჟთა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1956 წელს დაამთავრა.

1957 წელს ღია კონკურსის საფუძველზე ჩაირიცხა თსსი–ის პედიატრიული, სან–ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე კლინიკურ ორდინატურაში (კათედრის გამგე, პროფ. გ. მხეიძე), რომელიც 1958 წელს დაამთავრა კლინიკური ორდინატურის დამთავრების შემდეგ 1958 წლიდან – 1959 წლამდე მუშაობდა ქ.თბილისი, კამოს სახ. კლინიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში ორდინატორად.

1959 წელს იგი ინიშნება თსსი–ის პედიატრიული, სან–ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო თერაპიის კათედრის ასისტენტად, რომელსაც პირნათლად ასრულებდა 1970წლამდე.

1965წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პანკრეასის გარესეკრეციულ ფუნქციაზე ზვარეს მინერალური წყლის მოქმედების კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევა“ და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1970 წელს ამავე კათედრაზე კონკურსით აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე, რომელსაც 1989 წლამდე ასრულებდა, ხოლო 1972 წელს მიანიჭეს დოცენტის წოდება.

1988 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქ.მოსკოვში პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, სპეციალიზირებულ საბჭოს სხდომაზე, თემაზე: „ქრონიკური გასტრიტის

კლინიკომორფოლოგიური ფორმები", რომელიც იმავე წელს დაუმტკიცდა უმაღლესი საატესტაციო კომისიაზე და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1989 წელს აირჩიეს ამავე კათედრის პროფესორად, რომელსაც ასრულებდა 1994 წლამდე.

1995 წელს მიანიჭეს პროფესორის წოდება.

1994 წელს იგი აირჩიეს ამავე კათედრის გამგედ, რომელსაც ამ კათედრის შემდგომ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ეწოდა შინაგანი სნეულების დიაგნოსტიკის და თერაპიის კათედრა, მას ხელმძღვანელობდა 2001 წლამდე.

2001 წლიდან – 2006 წლამდე ამავე კათედრის პროფესორია.

1995 წლიდან იგი არჩეულია საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

1991 წლიდან 1992 წლამდე ასრულებდა თსსი–ის ინტერნატურის და საწარმოო პრაქტიკის დეკანის მოვალეობას.

იგი წლების განმავლობაში თსსუ–ის სამეცნიერო–პედაგოგიური, კლინიკური და პედიატრიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრია.

1992 წლიდან 2006 წლამდე იყო თსსუ ცენტრალური მეთოდური კომისიის წევრი და თერაპიული ციკლობრივი მეთოდური კომოსიის თავმჯდომარე.

1994 წლიდან 2006 წლამდე იგი თსსუ–ის ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრია – თერაპიულ დისციპლინებში.

იგი ინტერნისტთა, გასტროენტეროლოგთა და ჰიპერტენზიის ასოციაციების წევრია.

2003 წელს პროფ. გ.კალანდარიშვილთან ერთად შექმნა სახელმძღვანელო – „შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპია – თსსუ–ის სტუდენტებისათვის, რომელმაც დიდი აღიარება მოუტანა.

ასევე პროფ. გ.კალანდარიშვილთან ერთად მან შექმნა 2006 წელს სახელმძღვანელო „შინაგანი სნეულება და მედდის მოვალეობა" – სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეთათვის, რომელიც დღემდე წარმატებით გამოიყენება.

1995 წ. გამოაქვეყნა მონოგრაფია „გიორგი მხეიძე 100 წლისაა".

მისი ღვაწლი საკმარისად დიდია სამედიცინო მეცნიერების განვითარებისი საქმეში, განსაკუთრებით გასტროენტეროლოგიაში, მან დღემდის შეასრულა და გამოაქვეყნა 67 ნაშრომი, სხვადასხვა დონის სამეცნიერო წყაროებში. ასევე ავტორია მრავალი საგაზეთო სტატიების.

1999 წელს მისი ხელმძღვანელობით გ.კალანდარიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, თემაზე „ქრონიკული ფილტვის უკმარისობის არამედიკამენტური მკურნალობა“.

კათედრის გამგეობის პერიოდში იგი წარმატებულად ხელმძღვანელობდა კლინიკური ორდინატორების, ინტერნისტების სუბორდინატორების აღზრდის საქმეს.

1959 წლიდან 1970 წლამდე ხელმძღვანელობდა პედიატრიული, სან–ჰიგიენური და სტუდენტების საწარმო პრაქტიკას სტომატოლოგიურ ფაკულტეტებზე, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების საავადმყოფოებში.

ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს მუშაობის პერიოდში იგი იყო 12 დისერტანტის ოპონენტი, მათ შორის სადოქტოროს – 4 და საკანდიდატო დისერტაციის 8–ის, ასევე რამდენიმე საექსპერტო დასკვნების ავტორი.

რეცენზირებული აქვს ვ.სააკაძის სახელმძღვანელო – „პროფესიული დაავადებები“.

დიპლომის შემდგომი უწყვეტი სამედიცინო განათლების მიზნით ექიმებისათვის შექმნა მან პროგრამა „ქრონიკული გასტრიტის და პეპტიკური წყლული მართვის პრინციპები“, რომელიც დამტკიცებულია ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ და მას 2001 წლიდან 2006 წლამდე ანხორციელებდა.

იგი მონაწილეა საკავშირო, საერთაშორისო, რესპუბლიკური ყრილობების, კონფერენციების და სიმპოზიუმების.

მან მიიღო 2001წ–ს სახელმწიფო სერტიფიკატი დამოუკიდებელი საექიმო მოღვაწეობისათვის (N428787).

მან კათედრაზე ჩამოაყალიბა კუჭის დაავადებათა დიაგნოსტიკის თანამედროვე კომპლექსური გამოკვლევის მეთოდები, კერძოდ გასტროფიბროსკოპია, მრავლობითი და მიზნებითი ბიოფსიით, ბიოფსიური მასალის ჰისტომორფოლოგიური, ჰისტოქიმიური, მორფომეტრული შესწავლით, ინტრაგასტრალური PH–მეტრია – რადიოტელემეტრიული სისტემები, ელექტროგასტროგრაფია, და სხვა, რაც წარმატებით ხორციელდებოდა წლების განმავლობაში.

იგი მიწვეული იყო სხვადასხვა უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში (თსსუ, სდასუ, აიეტი, პანაცეა, დასტაქარი, დახელოვნების ინსტიტუტი და სხვა) სახელმწიფო გამოცდების თავმჯდომარედ თერაპიაში. კათედრის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული აქვს მოსახლეობის საქველმოქმედო გასინჯვა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში ვანში, თბილისში...

იგი წლების განმავლობაში კურირებდა ქ.თბილისის მე–8 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიულ, კარდიოლოგიურ და გასტროენტეროლოგიურ განყოფილებებს, ამავე დროს იყო კონსულტანტი ამ საავადმყოფოს ქირურგიული, ნევროლოგიური, ყბა–სახის, ყელ–ყურ–ცხვირის განყოფილებების, ასევე ქ.თბილისის N1 პოლიკლინიკის და ჯანდაცვის სამინისტროს სანავიო სამსახურს.

b-ma vaJam 2021w saintereso kvleva Caatara gulZmarvis da boyinis epizodebis sixSiris da xasiaTis gamosavlineblad mJavadamokidebuli daavadebebis dros, qarTul populaciaSi da daadgina, rom es Civilebi sakmarisad xSirad aRiniSneba, rac Zalze mniSvnelovania gastroezofaguri daavadebis drouli diagnostikisa da adeqvaturi mkurnalobisaTvis. amave dros igi beWdavs monografias qarTul enaze gulZmarva saeqimo paqtikaSi, qarTul populaciaSi, rac eqimebisaTvis didi saCuqari iqneba.

ვ.გვანცელაძე 1950 წლიდან 1959 წლამდე მონაწილეობდა თბილისის „დინამო"-ს ოსტატ კალათბურთელთა გუნდის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა დონის ჩემპიონატში, რომლებიც გაიმართა ევროპის ქვეყნებში, ყოფილ საბჭოთა კავშირში და ჩვენს რესპუბლიკაში.

ამ პერიოდში იგი გახდა ზაფხულის (1953–1954) და ზამთრის თამაშების (1951, 1959) ჩემპიონი და პრიზიორი (1952, 1959...).

იგი არის საბჭოთა კავშირის „დინამო"–ს ცენტრალური საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი.

1957წ. გახდა სოციალისტური ქვეყნების პირველი დინამიადის ჩემპიონი, ასევე იგი არის კალაბურთში მრავალ საერთაშორისო შეხვედრებში გამარჯვებული (ბულგარეთი, რუმინეთი, ეგვიპტე, ავღანეთი, თურქეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, აშშ).

1948 წელს იგი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად გახდა საბჭოთა კავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის პირველი სპარტაკიადის ჩემპიონი, ხოლო 1952 წელს საბჭოთა კავშირის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენთა შორის პირველ სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავა და გახდა ჩემპიონი.

1954 წ. მიენიჭა სსრკ–ს სპორტის ოსტატის წოდება კალათბურთში.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური, სამკურნალო და სამეცნიერო მუშაობისთვის დაჯილდოვებულია:

2003წ. „ღირსების ორდენით",

2012წ. „ღირსების ორდენით",

2017წ. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის პრეზიდიუმის მიერ
დაჯილდოვდა „ოქროს სტეტოსკოპით“,

2017წ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის სოციალური
კომისიის მიერ დაჯილდოვდა „ღვაწლმოსილი მკურნალის მედლით“.

2017წ. კალათბურთში მიღწეული მაღალი წარმატებისთვის დაჯილდოვდა „სპორტის
რაინდის ორდენით“.

(სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო).

ვაჟა გვანცელაძე

(1932-2021)

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს და საერთაშორისო თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი კალათბურთში, ღირსების ორდენის კავალერი

დაიბადა თბილისში 1932 წელს. 1950 წელს თბილისის 24-ე ვაჟთა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1956 წელს დამთავრა.

1959-1970 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სტომატოლოგიური და სანიტარული ჰიგიენური მედიცინის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის ასისტენტი; 1970-1989 წლებში დოცენტი; 1989-1994 წლებში პროფესორი; 1991 წლიდან 1992 წლამდე ასრულებდა თსსი-ის ინტერნატურის და საწარმოო პრაქტიკის დეკანის მოვალეობას. 1994-2001 წლებში შინაგან სნეულებათა და დიაგნოსტიკის თერაპიის კათედრის გამგეა; 2001-2006 წლებში შინაგანი სნეულების მე-5 კათედრის პროფესორია; 2006-2008 წლებში სამედიცინო ინსტიტუტ "დასტაქარის" თერაპიის კათედრის გამგე, მე-4 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული და კარდიოლოგიური განყოფილებების კონსულტანტია. არის 68 სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოებისა და წიგნების ავტორი.

საკანდიდატო დისერტაცია თემაზე -"პანკრეასის გარე სეკრეციულ ფუნქციაზე ზვარეს მინერალური წყლის მოქმედების კლინიკური და ექსპერიმენტული

გამოკვლევა", დაიცვა 1965 წელს; სადოქტორო დისერტაცია თემაზე - "ქრონიკური გასტრიტის კლინიკო-მორფო ფუნქციური ფორმები", დაიცვა 1988 წელს.

1994 წელს აირჩიეს შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის და თერაპიის კათედრის ხელმძღვანელად.

1995 წლიდან არჩეულია საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

1995 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1994 წლიდან 2006 წლამდე იყო თსსუ-ის ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი თერაპიულ დისციპლინებში.

იყო გასტროენტეროლოგთა და ჰიპერტენზიის ასოციაციების წევრი.

მისი ღვაწლი საკმარისად დიდია სამედიცინო მეცნიერების განვითარების საქმეში, განსაკუთრებით გასტროენტეროლოგიაში.

აღსანიშნავია მისი სპორტული მოღვაწეობა ახალგაზრდობის წლებში. 1950 წლიდან 1959 წლამდე მონაწილეობდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის მიერ ჩატარებულ ჩემპიონატებში. იყო ზაფხულის და ზამთრის თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი.

1954 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება კალათბურთში.

2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2017 წელს ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოვდა „ოქროს სტეტოსკოპით“.

2017 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაჯილდოვდა ღვაწლმოსილი მკურნალის მედლით.

2017 წელს კალათბურთში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა სპორტის რაინდის ორდენით.

გარდაიცვალა 2021 წელს.